



Activities

ქა

აქტივობა 1

იმუშავეთ ჯგუფთან ერთად. იმსჯელეთ, რას ნიშნავს სიცოცხლის ციკლის შეფასება და დახატეთ თქვენ მიერ შერჩეული საყოფაცხოვრებო საგნის სიცოცხლის ციკლი. განიხილეთ: რა რესურსები იქნა გამოყენებული სიცოცხლის ციკლის თითოეულ ეტაპზე და რა გავლენა იქონია ამან გარემოზე? რა საწარმოო ნარჩენები და გვერდითი პროდუქტები წარმოიქმნა? ამ ყველაფრის რა ნაწილი შეიძლება აღმოჩნდეს საზღვაო გარემოში? ჯგუფის თითოეულმა წევრმა წარმოადგინოს სიცოცხლის ციკლის თითო ეტაპი.

აქტივობა 2

ჩაატარეთ კვლევა ადგილობრივი საზოგადოებრივ მეცნიერებასთან დაკავშირებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიების მიზნით და კვლევის შედეგები წარუდგინეთ თქვენს მეგობრებს. იმსჯელეთ: რა საკითხებია თქვენს თემში ყველაზე აქტუალური? არსებობს თუ არა რომელიმე ადგილობრივი პროგრამა, რომელიც კონკრეტულად საზღვაო ნარჩენებზე ფოკუსირდება? როგორ შეგიძლიათ თქვენი წვლილი შეიტანოთ მათ საქმიანობაში?

აქტივობა 3

დაიყავით ორ ჯგუფად და ეწვიეთ უახლოეს სანაპიროს. თითოეულ ჯგუფს 30 წუთი აქვს იმისათვის, რომ შეაგროვოს და აღწეროს რაც შეიძლება მეტი სახის ნარჩენი. 30 წუთის მერე ჯგუფები ერთმანეთს ხვდებიან და თავიანთ შედეგებს ადარებენ. გუნდი, რომლის სიაშიც ყველაზე მეტი ნივთია, იმარჯვებს! შეადარეთ თქვენი სიები და შეეცადეთ სხვადასხვა ნივთები კატეგორიებად დააჯგუფოთ. როგორ ფიქრობთ, რამდენი დრო სჭირდება თითოეულ ნარჩენს იმისათვის, რომ დეგრადირდეს? ?

აქტივობა 4

წარმოიდგინე, რომ კერძო დეტექტივი ხარ და იმის დადგენა გევალება, თუ ვინ წარმოქმნის შენს სახლში ყველაზე მეტ ნარჩენს! დააკვირდი ტრენდებს ერთი კვირის განმავლობაში და წარუდგინე შენი აღმოჩენები კლასს/ჯგუფს/სკოლას. იმსჯელეთ:

1. რა მსგავსებების იდენტიფიცირება შეგიძლიათ სხვადასხვა ოჯახების ტრენდებს შორის?
2. რა იყო ყველაზე გავრცელებული ტიპის ნარჩენი?
3. როგორ ფიქრობთ, რატომ იყო ეს ნარჩენი ყველაზე გავრცელებული?
4. როგორ შეგეძლოთ შენ და შენს ოჯახს წარმოქმნილი ნარჩენების შემცირება?

Common borders. Common solutions.